სექტორის მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ახლახან გამოაქვეყნა 2023 წლის მე-2 კვარტლის ეკონომიკური მიმოხილვა. პუბლიკაციის თანახმად, 2023 წლის მე-2 კვარტალში სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის სექტორებში წარმოება 2.3%-ით შემცირდა 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის წილმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 5.2% შეადგინა.

სექტორში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ზრდის დადებითი ტენდენციაც. 2023 წლის მე-2 კვარტალში FDI-ის მაჩვენებელმა სოფლის მეურნეობაში 1.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი 84%-ით აღემატება 2022 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს). თუმცა ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით FDI სოფლის მეურნეობაში დაბალი იყო (0.3%).





წყარო: საქსტატი, 2023

„რთველი 2023“ აგვისტოში დაიწყო. წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა კვლავ ასუბსიდირებს ყურძნის მოსავალს, რათა დაეხმაროს იმ მწარმოებლებს, ვინც უამინდობამ დააზარალა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების ინფორმაციით, სუბსიდირების მიზანია, დაბალი ხარისხის ყურძნის მწარმოებლებმაც შეძლონ თავიანთი პროდუქციის გაყიდვა.

„რთველი 2023-ის“ ფარგლებში, ღვინის კომპანიები იმ შემთხვევაში მიიღებენ სუბსიდიას, თუ სულ მცირე 100 ტონა რქაწითელს ან კახურ მწვანეს შეიძენენ და გადაამუშავებენ, ხოლო 1 კგ აღნიშნულ ჯიშის ყურძენში სულ მცირე 0.90 ლარს გადაიხდიან. ასეთ შემთხვევაში, გადახდილი 0.90 ლარიდან 0.20 ლარი სუბსიდირებული იქნება.

მიმდინარე წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით, დაახლოებით 178 ათასი ტონა ყურძენი გაიყიდა, რის შედეგადაც ფერმერების შემოსავალმა 213 მლნ ლარი შეადგინა.

მოსალოდნელია, რომ წლევანდელი მოსავალი 200 ათას ტონას შეადგენს. საბოლოო მაჩვენებლები ხელმისაწვდომი იქნება ოქტომბერში, რთველის დასრულების შემდეგ.



წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2023 წელი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
**შენიშვნა: 2023 წლის მონაცემები შეგროვებულია 2023 წლის 29 სექტემბერს.*

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

გაზაფხულიდან დაწყებული, ქვეყანაში ფასები ყოველთვიურად მცირდებოდა, აგვისტოში კი ეს ტენდენცია შეიცვალა. 2023 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) მაისთან შედარებით მცირედით, 0.7%-ით შემცირდა. ივლისში სამომხმარებლო ფასები უცვლელი დარჩა, აგვისტოში კი, წინა თვესთან შედარებით, უმნიშვნელოდ (0.7%-ით) გაიზარდა.

2023 წლის ივნის-აგვსიტოს პერიოდში სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც (FPI) ფასების დონე თვიურ ჭრილში გაიზარდა. 2023 წლის ივნისში სურსათის ფასები 3.2%-ით შემცირდა 2023 წლის მაისთან შედარებით. ხოლო ივლისსა და აგვისტოში თვიურ ჭრილში ფასების ცვლილების შესაბამისი მაჩვენებელი -0.2% და -2.1% იყო.





წყარო: საქსტატი, 2023. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

წლიურ ჭრილში, 2023 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში CPI უმნიშვნელოდ გაიზარდა. 2023 წლის ივნისში CPI 2022 წლის ივნისთან შედარებით 0.6%-ით გაიზარდა, 2023 წლის ივლისსა და აგვისტოში ფასების შესაბამისი ცვლილება 0.3% და 0.9%-ს შეადგენდა.

2023 წლის აგვსიტოში ქვეყანაში ფასების დონე სტაბილური იყო და მცირედით, 2.4%-ით გაიზარდა, რამაც სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) მხოლოდ 0.7%-ით ზრდა გამოიწვია. ძირითადი გამომწვევი ფაქტორი იყო შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქციის ფასების ზრდა:



ბოსტნეული (46.4%)

ხილი და ყურძენი (12.9%)

თევზეული (9.7%)

წყარო: საქსტატი, 2023

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე: ბოსტნეული

2023 წლის განმავლობაში, ბოსტნეულის ქვეჯგუფში შემავალი პროდუქტების ფასები მაღალი იყო. ამავდროულად, 2023 წლის აგვისტოში, გასული წლის აგვისტოსთან შედარებით, ბოსტნეულის ფასები წლიურ ჭრილში 46.4%-ით, ხოლო თვიურ ჭრილში 19.3%-ით გაიზარდა. საქსტატის ინფორმაციით, 2023 წლის აგვისტოში ბოსტნეულის ქვეჯგუფში შემავალი მხოლოდ შემდეგი პროდუქტების ფასები შემცირდა: ნიორი (-5.9%), ლობიო (-1.6%), ჭარხალი (-0.2%). ამავდროულად, ბოსტნეულის ჯგუფში შემავალი პროდუქტების უმეტესობა გაძვირდა, მათ შორის კომბოსტო (150.1%), მწვანილი (141.8%), ბადრიჯანი (38,0%), კიტრი (34.0%), პომიდორი (24.8%), კარტოფილი (20,3%), წიწაკა (20.3%), მწვანე ლობიო (19.8%), ხახვი (11.6%), სტაფილო (7.8%).

ბოსტნეულის ფასების ზრდა შეიძლება იყოს 2023 წელს ადგილობრივი წარმოების შემცირების შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს ბოსტნეულის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი 6%-ით გაიზარდა – 10.3-დან 10.9 ტონამდე ყოველ ჰექტარზე, ბოსტნეულის წარმოება 13.8%-ით შემცირდა – 149 ათასი ტონიდან 128.5 ათას ტონამდე. ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლის ასეთმა კლებამ 2022 წელს ბოსტნეულის ფასების ზრდა და 2023 წლის პირველ ნახევარში იმპორტის ზრდა განაპირობა. 2023 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში, ბოსტნეულის იმპორტის მაჩვენებელი ყველა თვეში უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2022 წლის შესაბამის თვეებში (გარდა ივნისისა, როდესაც ბოსტნეულის იმპორტი 1.6%-ით შემცირდა).

ამავდროულად, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ბოსტნეულის ექსპორტი 18.7%-ით შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის ადგილობრივი წარმოების სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება შეიძლება ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების შემცირებაზე მიუთითებდეს.



წყარო: საქსტატი, 2023

საერთაშორისო ფასები

2023 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში სურსათის საერთაშორისო ფასები მცირდებოდა. 2023 წლის აგვისტოში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად შემცირდა (11.8%) 2022 წლის აგვისტოსთან შედარებით. შემცირდა მცენარეული ზეთების (-23.0%), რძის პროდუქტების (-22.4%), მარცვლეულის (-14.1%) და ხორცის (-5.4%) ფასები, შაქრის ფასი კი გაიზარდა (34.1%).

მსოფლიოში შაქრის გაძვირება ძირითადად სამომავლო წარმოების შესახებ შეშფოთებით იყო განპირობებული. შეშფოთების ძირითადი მიზეზი კი ელ-ნინიოს ფენომენი (ანომალიური კლიმატური მოვლენა) გახლდათ, რომელსაც შეუძლია ძლიერი უარყოფითი გავლენა იქონიოს მოსავალზე. ინდოეთში, ტაილანდსა და ბრაზილიაში ცუდი ამინდის შედეგად შაქრის ლერწმის მოსავალი შემცირდა, რაც სავარაუდოდ გავლენას იქონიებს შაქრის წარმოებაზე 2023/2024 წლებში.



წყარო: FAO, 2023.

საერთაშორისო ვაჭრობა

2023 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოს მთლიანი ექსპორტი 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 14%-ით გაიზარდა (3,565 მლნ აშშ დოლარიდან 4,079 მლნ აშშ დოლარამდე). აღნიშნულ პერიოდში აგრო ექსპორტი შედარებით მეტად, 22%-ით გაიზარდა (2022 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში არსებული 740 მლნ-დან 906 მლნ აშშ დოლარამდე 2023 წელს). მთლიანობაში, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2023 წელს 2022 წელს არსებული 21%-დან უმნიშვნელოდ, 22%-მდე გაიზარდა.

2023 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით საქართველოს მთლიან იმპორტში ექსპორტთან შედარებით უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა დამთლიან იმპორტი 18%-ით გაიზარდა: 8,427 მლნ აშშ დოლარიდან 9,926 მლნ აშშ დოლარამდე. იმავე პერიოდში აგრო იმპორტიც გაიზარდა (16%) და 2022 წელს არსებული 1,114 მლნ აშშ დოლარიდან 2023 წელს 1,291 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. თუმცა აგრო იმპორტის წილი მთლიანი იმპორტში არ შეცვლილა და კვლავ 13%-ს შეადგენს.

მთლიანობაში, ზაფხულში აგრო პროდუქტების ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტემპი შემცირდა. 2023 წლის ივნისი-აგვისტოში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგრო პროდუქტების ექსპორტი 6.8%-ით, ხოლო იმპორტი 8.6%-ით გაიზარდა.





წყარო: საქსტატი, 2023
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს.

მთლიანი ექსპორტის ფართო ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში განხილვის შემთხვევაში, ზრდა, როგორც წესი, განპირობებულია არა პირველადი პროდუქტების, არამედ გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტის ზრდით, რომელმაც 120 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირველადი პროდუქტების ექსპორტი კი ზომიერად, 30 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

საბოლოო მომხმარებლის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად (97%), ძირითადად, სამრეწველო გამოყენების პირველადი სურსათის და სასმელების ექსპორტი გაიზარდა (თუმცა აბსოლუტური ღირებულება მცირედით, 36 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა). ამას მოყვება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტის 28%-იანი ზრდა (აბსოლუტური ღირებულებით 117 მლნ აშშ დოლარი). გარდა ამისა, სამრეწველო გამოყენებისთვის განკუთვნილი გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტი 12%-ით გაიზარდა, საყოფაცხოვრებო მოხმარების სურსათისა და სასმელების ექსპორტი კი 4%-ით შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ დამაიმედებელია გადამუშავებული სურსათისა და სასმელების ექსპორტის ზრდა, საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის უმეტესობა მაინც საყოფაცხოვრებო მოხმარებისაა. მთლიანობაში, აგრო პროდუქტების მთლიანი ექსპორტიდან 87% საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა, 13% კი – სამრეწველო.



წყარო: საქსტატი, 2023
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს.

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და USAID-ის წარმომადგენლებმა მყარი ნარჩენების მართვის სისტემებზე თანამშრომლობის საკითხები განიხილეს

მხარეებმა, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, მყარი ნარჩენების მართვის (Solid Waste Management) კომპონენტი და აღნიშნული მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, პოლიტიკის მთავარი მიზანი გარემოდან ნარჩენების ამოღებაა, თუმცა ნარჩენების მდგრადი მართვის უზრუნველყოფისთვის საჭიროა ქვეყანაში ნარჩენების გადამამუშავებელი წარმოების განვითარება. ხაზი გაესვა იმას, რომ ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების გამართული სისტემის არსებობა, ცირკულარული ეკონომიკის დანერგვას გაადვილებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21302/

ახალი პროექტი „საწარმოო და გადამამუშავებელ სექტორში სამრეწველო მდგრადი ორგანული დამაბინძურებ-ლების შემცირება ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერის გზით“ იწყება

პროექტი მიზნად ისახავს პოლიტიკის და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას საწარმოო და გადამა-მუშავებელ სექტორში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების პრევენციის მიზნით. მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელება გააძლიერებს გარემოს დაცვის, წარმოების და გადამუშავების სექტორში ჩართული სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ეტაპობ-რივ შემცირებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს: https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21303/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკა

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
გიორგი შავრეშიანი giorgi.shavreshiani@iset.ge